# კლდე

**№ 38**

24 გიორგობისთ. 1913 წ.

მიიღება ხელის-მომწერი

წლიური ფასი

მან.

წლის დამლევამდე 50 კ.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეორე

რედაქცია ღიაა 10—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.


ბიბლიოთეკა

სარჩევი:


1. შიმშილობა დასავ. საქართველოში.— . **სიმონ ქვარიანისა.**
2. მამაშვილური რჩევა.— **ნ. ნიკოლაძისა.**
3. რეაქცია.— . . **დავით კახელისა.**
4. ძალუა ბერტას დასმარება. . . . **გ. ნამორაძისა.**
5. მენიცბაპალური კრება.— . . . . **ფარსმან-ფარუხისა.**
6. კიდევ ახალი ბრძოლება **პარიზ. ქართვ. ახალგაზდობისა**
7. სად უნდა მოეწყოს კახ. სას. ბან. კავშირი.— **დ. ვაჩნაძისა.**
8. უკანასკნელი ამბები.
9. ზეპირ თქმულებანი.— . . . . . **თ. მაგმაძისა.**
10. ნარევი.


## შიმშილობა დასავლეთ საქართველოში და ხალხის წარმომადგენელთა კრება

უკვე ყველამ იცის, რომ წელს ხანგრძლივი გვალვების გამო საშინელი მოუსავლობა ეწვია დასავლეთ საქართველოს და მას მოჰყვა სტიქიური უბედურება **შიმშილი. დაიმშა თითქმის ერთი მილიონი ხალხი.***) ბევრ ალაგას სიცხემ და ზენა ქარმა აშუშა სიმინდი, ასე რომ ბევრ ალაგას არამც თუ არაფერი მოვიდა, არამედ ჩალათაც კი არ ივარგა. ხალხმა ზაფხულშივე ასჭრა სიმინდი ალერდათ და შეაჭამა საქონელს. ზოგიერთ ალაგას მოვიდა ერთ ქცევაზე 50—60 ფუთის ნაცვლად 4—5 **ფუთამდი**. მხოლოდ გურია-სამეგრელოს დაბალ ჭალებზე მოვიდა მცირე რამ მოსავალი. და ისიც რაც მოვიდა ყოვლად უვარგისია. საერთოდ მოვიდა **ორითვის სარჩო.**

ამ რიგად დაიმშა **მთელი იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და გურია-სამეგრელოს მთა-გორიანი ნაწილი** დაიმშა მცხოვრებთა სამი მეოთხედი ნაწილი. დაიმშა საქონელი, რადგან არ არის მათთვის საკვები მასალა. ახლავე საოცრად აიწია სიმინდის ფასმა

*) ნამდვილად კი დამშეულთა რიცხვი ბევრად მეტია, რადგან ზოგიერთ კუთხეებიდან არ გვაქვს ცნობები.

ავტორი.

№ 974

და ავიდა ზოგან 1 მ. 50 კ—დი ფუთი. გლოვის ზარი მოედვა მთელ კოლხიდას უპატრონო, დამშეულმა ხალხმა არ იცის, რა უშველოს თავს და რა რიგ გადარჩეს შიმშილისაგან.

ასეთი გასაჭირი, რამდენადაც ვიცით, არ სწვევია ჯერ დასავლეთ საქართველოს.

უბედურება ისაა, რომ ასეთ საშინელ გაჭირვებაში ჩვენი ქვეყანა სრულებით უპატრონოა. მას არა ჰყავს ის ორგანო, რომელიც ასეთ დროს სათავეში უნდა ჩაუდგეს დამშეულ მხარეს და მოუძებნოს შესაფერი დახმარება. ასეთი ორგანო იქნებოდა ჩვენთვის **ერობა**. მაგრამ ეს მრავალ მხრივ სასარგებლო და ერის წინწამყვანი ინსტიტუტი არ გვაღირსეს ჩვენმა გულკეთილმა ბატონებმა. მაღალი კულტურული ქართველი ერი არ სცნეს ერობისათვის მომზადებულად; მაშინ როდესაც ეს ერობა ამ 50 წლის წინად მიანიჭეს უკულტურო ხალხს, შიდა გუბერნიებს.

ხალხის ასეთ უკიდურეს გაჭირვებას მიაქცია ყურადღება კავ. სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ, მოიწვია დამშეული მაზრებიდან სოფლის წარმომადგენელნი და ამ სამი დღის წინ მოახდინა კრება ქუთაისში. კრებას დაესწრო 60-დი კაცი, უმთავრესად წვრილი კრედიტის წარმომადგენელნი. პირველ სხდომაზედვე გამოირკვა თუ რა საშინელი სახით ეწვია ჩვენს ქვეყანას ულმობელი შიმშილი. შეიქნა მხურვალე კამათი, თუ როგორ და რა საშუალებით უწამლონ ამ სტიქიურ უბედურობას. ზოგი თხოულობდა სარწყავ არხების გაყვანას და მით საზოგადო სამუშაოს გაჩენას დამშეულ ხალხისათვის, ზოგი ტარიფის დაკლებას სიმინდის გადმოსაზიდათ ჩრდილო კავკასიიდან, ზოგი ჭაობების დაშრობას გურია-სამეგრელოს მდაბალ ჭალებზე, ზოგი ერობის შემოღებას, როგორც ერთად-ერთ საშუალებას სოფლის აღსადგენად და დაცემულ მეურნეობის ასაყვავებლად. ყველანი კი ერთად თხოულობდნენ მთავრობისადმი მიმართვას და ან დაუბრუნებელ, ან გრძელვადიან უსარგებლო სესხის მოცემას დამშეულ ხალხისათვის. დაბოლოს კრებამ გადასწყვიტა აირჩეს კომისია, რომელსაც შეენდოს დამშეულ მხარეთა ვითარების გამორკვევა და ჭეშმარიტი ზომების გამონახვა. კომისიაში აირჩა ცხრა კაცი: ი. ფანცხავა, ი. გუნცაძე, ს. ქვარიანი, დ. მდივანი, არ. თათეოსიანი, ალ. ჯაფარიძე, ლომინაძე, თავართქილაძე და დუნდუა.

კომისიამ სამჯერ მოახდინა სხდომა დილა-საღამოს და დღეს წარუდგინა კრებას თავის დამუშავებული მოხსენება. კომისიამ შეჰკრიბა ცნობები და გამოარკვია, რომ დასავლეთ საქართველოში დამშეულთა რიცხვი ყოფილა დაახლოვებით **ნახევარი მილიონი**. თითოეულ სულზე რომ ვიანგარიშოთ 20–25 ფუთი სიმინდი გამოვა სულ **10 მილიონი ფუთი**, რაც უდრის **10 მილიონ მანეთს**. აი ამოდენა საკვები მასალა სჭირდება ხალხს. გარდა ამისა კომისიავე ანგარიშით მუშა საქონელს სჭირდება **ორი მილიონი მანეთის** საკვები მასალა. სულ ერთიანად დასავლეთ საქართველოს ეჭირვება **12 მილიონი მანეთით დახმარება. და ეს ციფრი მეტად ზომიერია.** კომისიასთან ერთად დღევანდელმა კრებამ დაადგინა, ეს თანხა. ე. ი. 12 მილიონი მანეთი ეთხოვოს მთავრობას ან უსარგებლო სესხის სახით, ან, თუ ეს შეუძლებელია, მცირე სარგებლიან და გრძელვადიან სესხის სახით. ამ სესხის დამშეულ ხალხში დასარიგებლად ფულად თუ სიმინდათ უნდა შესდგეს ქუთაისში **ცენტრალური საგუბერნიო და გამომკვლევი კომიტეტი**, რომელშიაც შედიან წევრებად წარმომადგენელნი გუბერნიის უმაღლესი ადმინისტრაციისა, სახაზინო პალატის, სახელმწიფო ბანკის, ქალაქის თვითმმართველობის და მაზრებიდან ხალხის წარმომადგენლებად წვრილი კრედიტის წარმომადგენელნი.

რადგან მთელს კოლხიდაში 126 წვრილი საკრედიტო ამხანაგობაა, სოფლის საზოგადოება კი 201, ამიტომ კომისიამ დაადგინა, რომ სიმინდის განაწილება მოხდეს დამშეულ სოფლებში წვრილი საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით, რომელნიც ახლოს დგანან ხალხთან და იციან მათი გაჭირვება.

რადგან ამ ბოლო წლებში გვალვა თანდათან ხშირდება ტყეების გაჩეხვის გამო, ამიტომ კომისიამ საჭიროდ სცნო სარწყავი არხების გაყვანა სხვადასხვა ადგილას, მეტადრე წელს, რომ მით მიეცეს ხალხს საზოგადო სამუშაო და შესაფერი ქირა. უკვე ერთი წელიწადია, რაც საწყლო გამგეობამ შეუდგინა სამ დიდ სოფელს (ქვიტირს, მაღლაკს და ფარცხანაყანევს) სარწყავი არხის გეგმა, რითაც უნდა მოირწყოს 10000 **ქცევა** მიწა და რაც უნდა დაჯდეს დაახლოვებით 270,000 **მანეთი**. კომისიამ დაადგინა, ეთხოვოს მთავრობას, რომ ხაზინის ხარჯით ან გრძელვადიან სესხით იქნას გაყვანილი როგორც ეს არხი, ისე სხვა სარწყავი არხები. მასთან უნდა ეთხოვოს მთავრობას, რომ დამშეულ სოფლებს ეპატიოს როგორც „ნედოიმკები“, ისე წრევანდელი სახელმწიფო და საერობო ბეგარა.

რადგან ერობა ერთი უპირველესი ფაქტორია ხალხის სულიერ და ნივთიერ წინსვლისათვის, და რადგან ჩვენი სოფლები განიცდიან ადმინისტრაციის ტლანქ აპეკას და მით სრულ უპატრონობას, რადგან ამის გამო სოფლის მეურნეობა დაცემულია და ხალხის ნივთიერი მდგომარეობა უკიდურეს წერტილამდი მისული; სოფელი მოკლებულია რიგიან გზებსა და ხიდებს, იაფ სამეურნეო და სამელიორაციო სესხს, საზრიან სკოლებს და სხვა კულტურულ დაწესებულებათ, ყოველივე ეს კი შესაძლებელია **ერობის** საშუალებით, ამიტომ კომისიამ სცნო ფრიად საჭიროდ სთხოვოს მთავრობას, რათა შემოღებული იქნას საქართველოში **ერობა.**

დაბოლოს კომისიამ სცნო საჭიროდ ეთხოვოს მთავრობას შეწირულებათა მოკრეფის ნებართვა.

ყველა ეს რეზოლიუციები ერთხმად მიიღო კრებამ და დაადგინა: დაევალოს ქუთ. სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას, როგორც კრების ინიციატორს დაჩქარებით წარუდგინოს მთავრობას ყოველივე ამის შესახებ ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება. გამოითქვა აგრეთვე სურვილი, რომ განყოფილებამ მოახდინოს პერიოდულად სოფლის წარმომადგენელთა კრება სოფლის ჭირვარამის გამოსარკვევად და მის საშველი გზების გამოსანახავად. ვიმედოვნოთ, რომ მთავრობა ახლა მაინც მიაქცევს ყურადღებას ქართველი ერის გაჭირვებას და დააკმაყოფილებს იმ სამართლიან თხოვნას, რომელსაც წარუდგენს მას ქუთ. სამ. საზოგადოების განყოფილება დამშეულ ხალხის მაგივრად.

**სიმონ ქვარიანი.**

ქუთაისი 17/XI 1913 წ.

# მამაშვილური რჩევა

(დასასრული)

ის პოლიტიკა, რომლის ემლემას ეს დროშა შეადგენდა, ჰქადაგებდა და ჰქადაგობს, რომ ჩვენში ყველა, წოდების, სარწმუნოების, ქონების, ეროვნების განურჩევლად, შეერთებული შრომით და ღონით უნდა ვიბრძოდეთ, **რუსეთის მოწინავე ნაწილთან ერთად**, იმ წესების შემოსაღებათ, იმ სიმართლების შესაძენათ, ურომლოთაც ადამიანის ცხოვრება ადამიანური როდია. თავდაპირველად, თეორიულად მთელმა კავკასიის ინტელიგენციამ მიიღო 1870-ში ჩემი გეგმა. მაშინ ყველა ეთანხმებოდა, რომ მარტო ამ გეგმის განხორციელებაა შესაძლებელია ჩვენს ოცდა-თექვსმეტ-ენოვან კავკასიაში. მარტო ქართველებმა კი არა, სომხებმაც, თათრებმაც და ლეკებმაც შეიფიცეს ამ საერთო დროშას, რომელიც დიდ-ხანს გავლენიან რაზმს და ძალას წარმოადგენდა. მაგრამ ნელ-ნელა როცა თეორიულ მოაზრებას წაეხახუნდა ნამდვილი ინტერესების წინააღმდეგობა, ისე ადვილი როდია შეიქნა ამ უკანასკნელების შეთანხმება. ჩემ დროშას ყველაზე უწინ 1877-ში ქართველები გაექცენ. მათ მალე სომხობა გაჰყვა; ათიოდე წლის განმავლობაში ეს ორი განს—ამდგარი ამხანაგი ერთმანეთში მაინც არ დაობდენ. 1890-ში მათ შორისაც, როგორც მოგეხსენებათ, ატყდა მწვავე ბრძოლა. სამი თუ ოთხი წლის შემდეგ გაიმართა თვით ქართველობაში შინაური ომი ეგრედ წოდებული „მესამე დასის“ თაოსნობით. მუშა წინააღუდგა პატრონს, გლეხი—აზნაურს, მრევლი—მღვდელს და სხვ. თუ ამ რიგად აირია მონასტერი კავკასიის მოწინავე ერებში, ქართველობაში და სომხობაში, რაღა საკითხია თათრები და ლეკები რა გზას დაადგებოდნენ.

ყველამ იცის, რა გავლენა ჰქონდა კავკასიურ მწერლობას და ინტელიგენციას ჩვენი ქვეყნის მმართვაში და საზოგადო ცხოვრებაში, სანამ ზედ მარტო 1870 წლის ერთობის და თვითმმართველობის დროშა მეფობდა. ნაკლებად არც ის არის ცნობილი, თუ რა უძლურება, რა დამონება შესძინა ყველას ამ დროშის ძირს დამხობამ და მის მაგიერ იმ განკერძოვებულ დროშის აშართვამ, რომელიც ქართველებმა, სომხებმა, თათრებმა, და ბოლოს მუშებმა ცალ-ცალკე და ერთი მეორის წინააღმდეგ გამოიტანეს საზოგადო ასპარეზზე. ცალ-ცალკე ვერც ერთმა ჩვენგანმა ქვეყანა ვერ ააშენა. ჩვენი ძალა კი ურთიერთ-შუა ბრძოლაში დაილუპა. ვის სასარგებლოდ? როგორც 1893-ში ვუწინასწარმეტყველე სომხების მეთაურებს იმ დაბრმავების დღეს, როცა სომხებმა ქართველები თფილისის საბჭოდამ გამოგვდევნეს. . იქნება დღევანდელი გამარჯვება თქვენ საკუთარ ძლევათ მიგაჩნდეთ? დღეს კატკოვის მეტს არავის გაუმარჯვია—მეთქი ეს სიტყვა რუსობის გამარჯვებას კი არ ნიშნავდა, ჩემს ენაზე: არა, მარტო ძალადობის და მონობის დამყარებას ჩვენში.

ცალ-ცალკე ვერა გავარიგეთ რა, ვერც ჩვენ, ვერც სომხებმა. ვერც ვერავინ ვერასოდეს ვერაფერს გაარიგებს ჩვენს ქვეყანაში, ცალ-ცალკე. ეს ჭეშმა-

რიტება ნათლად არ ჩანს, სანამ ძლიერი მთავრობა, თავის ზედმოქმედებით თუ გავლენით, გარეგნულად მაინც, ჩვენში ერთობას იცავს; მაგრამ დღეს, როცა მთავრობას, როგორც ბ. სიტყვა ბრძანებს, „ჩვენთვის აღარ სცალია", ან, რაც გავლენა დარია, სხვაგან სჭირია, ყოველ შორს გამჭვრეტ ადამიანისთვის ცხადი შეიქმნა, რომ განკერძოება, ერთმანეთთან ბრძოლა, ცალკე გზით შველის ძებნა ჩვენში სიკეთეს არავის დააყრის. ერთობის იქით გზა არავის აქვს. თუ დღეს ყველა მიხვდა, რომ კავკასიაში არავითარ სხვა დროშას და პოლიტიკას ადგილი არა აქვს და არც ექნება, გარდა იმ დროშისა, რომელმაც ყველა წოდება, რჯული და ერობა უნდა შეაერთოს ერთ და იმავე თვითმმართველობაში, ეს, რა საკვირველია, ჩემი მოღვაწეობის ნაყოფი კი არაა, ეს ბუნების კანონია, საუკუნოებმა, ისტორიულმა გამოცდილებამ მოიტანა. მიტომაც უფრო ძლიერად, უფრო ბეჯითად, უფრო საშველი-შველით ჩაიბეჭდება ხალხის გონებაში ის ჭეშმარიტება, რომ საერთო გასაჭირს, საერთო მტერს მარტო ერთობა სძლევს, და განხეთქილება კი აძლიერებს.

ეხლა გკითხავთ, ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ დროშის და პოლიტიკის დამფუძნებელი, დღეს, როცა მისი მოძღვრებისთვის გამარჯვების დილა თენდება, ვისმე უსაქმობას, გაჩუმებას და სხვა ამ გვარ უჯიშობას ურჩევდეს? ნუთუ მოსაფიქრებელია, რომ თვითმმართველობის მსახური დღეს ხალხს იმას უქადაგებდეს — გაჩუმდეთ, სხვისი იმედით ვიყოთ, ბიუროკრატიის იქით შველა არა გვაქვს? *)

არა, ბატონო! საფლავშიაც რომ ვიდო, ჩემი ღვაწლი და ნაწერი იქიდგანაც ამოსძახებდა ყველას; ვისაც კი სმენა არ დახშვია: შეერთდით ყველა: რუსი, თათარი, ფრანგი, სომეხი, ქართველი, ურია, ლეკი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უმეცარი, თვითმმართველობის დროშის ქვეშ! მარტო ამ დროშას, ამ ერთობას შეუძლია იმ წესის დამყარება, რომელიც მოსპობს ყველაფერს, რაც ურიგო, უსამართლო ან სავნოა ჩვენს ცხოვრებაში და ურთიერთობაში. თუ კი ეს ერთობა ვიქონიეთ, და დავიცვეთ, ვერავის ძალა ვერ წინააღუდგება ჩვენს წარმატებას. ჩვენში სრული თვითმმართველობის დაარსებას. ამას არც არეულობა სჭირია, არც მსხვერპლი, არც სისხლისღვრა. საჭიროა მხოლოდ რუსეთს და მთავრობას დავანახოთ, დავუმტკიცოთ, რომ მთელი ჩვენი მხარე, განურჩევლად ერობისა, რჯულისა, წოდებისა და ქონებისა, იმასვე თხოულობს, რისთვისაც იბრძვის რუსეთის ინტელიგენცია. სიტყვა-სიტყვით შეუცვლელათ იმ გზას უნდა დავადგეთ, რომელიც რუსეთის ერობის მეთაურებმა შეიმუშავეს და რომელსაც მთელი რუსეთის წარმომადგენლობამ და ინტელიგენციამ მხარი მისცა. დახეთ რუსეთის განათლებული დასების საქციელს: იქაც უწინ, შარშანწინ, დიდი უთანხმოება არსებობდა სხვა-და-სხვა წოდებას, ქონებას და მიმართულებას შუა. დღეს კი საერთო გასაჭირმა, საერთო საქმემ თავადი და ვაჭარი, ფაბრიკანტი და მუშა, მღვდელი და ერის კაცი, გლეხი და მოქალაქე, მდიდარი და ღარიბი ერთს და იმავე უღელში შეაბა. ყველა მიმართულების მეთაურები დარწმუნდენ, რომ **დროებით** თავი უნდა დაანებონ კერძო ინტერესების დაცვას, კერძო განსხვავებების ხსოვნას, კერძო ქიშპობას და ბრძოლას. ჯერ ამ ჟამათ, აუცილებლათ საჭირო და გადიდებული მარტო ერთი საქმეა: იმ საერთო შენობის, პოლიტიკური თავისუფლების, აგება, რომლის მფარველობის ქვეშ ყველასთვის შესაძლო შეიქმნება წესიერი, სამართლიანი შრომა და ბრძოლა თავის კერძო ინტერესების სასარგებლოთ. ყველასთვის ცხადი შეიქმნა დღეს ის, რაც უწინ ბევრს არ სჯეროდა, ის ჭეშმარიტება, რომ მარტო სრული თვითმმართველობის მფარველობის ქვეშ შესაძლებელია შრომა და ბრძოლა კერძო სიკეთის საძიებლათ; რომ იქ, სადაც სამართლე და მტკიცე წესი არ არსებობს, ვერც ფაბრიკანტი დაამყარებს მკვიდრათ თავის კეთილდღეობას, ვერც მუშა მოესწრება თავის ღირსების დაცვას, ვერც ერი — თავის ენის და ვითარების შერჩენას. იქ საყოველთაო კეთილდღეობას, ოცი, ოცდაათი წლის ნაშრომს მთელი ხალხისას, შთანთქამს ხოლმე უმიზნო ომი... სრული თვითმმართველობა კი ხომ იმაში მდგომარეობს, რომ **არავითარი კანონი არ გამოიცემოდეს არც ერთი ღონისძიება არ მიიღებოდეს, არც**

*) ძალიან გაუკვირდება ახლად ბ. სიტყვას, როცა გაიგებს, რომ სხვათა შორის მე გადავწერე რუსეთში ის აზრი, რომ ბიუროკრატიის შემინების და პოლიციური ღონისძიებების მეტი სხვა არავითარი საშუალება მოქმედების წესის დასამყარებლად ქვეყანაში. ნახოს „Отечественныя записки" 1882, № 4. (ჩემი ნაწერი „Романъ государственнаго человѣка.

**არაფერი ხარკი დაიდებოდეს ხალხის წარმომადგენლების უთანხმობით** *).

მართალია, ჩვენი მდგომარეობა ბევრი მხრით განირჩევა რუსეთისგან: ბევრი კერძო ვარამი და საჭიროება გვაქვს საკუთარი, რუსეთში უცნობი, ჩვენც, სომხებსაც, თათრებსაც და კავკასიის სხვა მცხოვრებსაც. მაგრამ ეხლა დრო როდია ამ საგნებზე სჯა ალვძრათ ან ხმა ამოვიღოთ. ამ ტკივილების მოსაშუშებელი მარტო იგივე მალამოა, რომელსაც მთელი რუსეთი თხოულობს. ჩვენ მარტო ის უნდა გამოვთქვათ ეხლა, რომ მთელი ჩვენი ქვეყნის გული და მაჯა რუსეთთან ერთად და თანასწორად სცემს. თუ მასთან ერთად ჭაპანს ვსწევთ, მის გასაჭირით ვიტანჯებით, მისთვის ხარკს ვიხდით და სისხლს ვღვრით, მის დაწესებულებაშიაც, მის წარმატებაშიაც იგივე წილი უნდა დაგვედოს, როგორიც მის ტვირთში და ჭირში გვიძევს. სხვა თუ რამ ჩავურთეთ ჩვენს ჩივილში და კვილში, სხვა თუ რამ დროშა ავმართეთ, **სანამ ეს მოთხოვნა აგვისრულდება**, ჩვენს საკუთარს საქმეს ვავნებთ, ჩვენივე დანით კისერს გამოვიჭრით. მაშინ გვეტყვიან: თქვენი მდგომარეობა განკერძოვებული ყოფილა, მას საგანგებო წამალი და ცალკე წყობილება შეეფერება, კერძოთ შევისწავლით თქვენთვის სასარგებლო ღონისძიებებს: აი, კიდეც, ცალკე კომისიას ვნიშნავთო! თარგმანში ეს გამოვა — გაგვაცურებენ, ჩამოგვატოვებენ, და მერე წადი და უყარე კაკალი! უცადე, სანამ ხელმეორეთ ამისთანა დრო დადგეს! არა, მეთქი: ჩვენში არც ერთ გონიერ პირს, პარტიას, წოდებას, ერს, სხვა არავითარი აზრი და დროშა არ უნდა ჰქონდეს ეხლა, გარდა იმ მოთხოვნილებისა, რომ რუსეთის მმართველში და. კანონმდებლობაში ჩვენს მხარესაც შესაფერი წილი დაედოს. სხვა რაც რამე დარდი და საჭიროება გვაქვს, მას ჩვენი წარმომადგენლები უწამლებენ რუსეთის თვითმმართველობაში.

ვათავებ: „ერთობით“ უნდა წარვემართოთ „თვითმმართველობისკენ“: სხვა ყოველი დროშა **დროებით** მიტოვებული უნდა გვქონდეს. ვინც ამ დროს ამ ერთობის თვითმმართველობის ერთადერთ დროშას გარდა სხვა რამე დროშას მისდევს ან აფრიალებს, სხვა ღმერთს ემსახურება, სხვა კითხვას სძრავს და სხვა შფოთს სთესს, ის ქვეყნის მოღალატე და წარმატების მტერია, რასაკვირველია, უმეცრებით გამოუცდელობით [illegible]ვლობა მას ძალს დაასვამს. დღეს ყველა მოვალეა დროებით მიწაში ჩამარხოს ყოველგვარი ნაციონალური, სოციალური, რწმუნებრივი დროშა და მარტო ერთს საერთო რუსეთის თვითმმართველობის დროშას გულწრფელად და დაუზოგველად ემსახუროს. მარტო ეს დროშა დაუმკვიდრებს ჩვენს ქვეყანას და ყველა მის ერებს თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას.

**ნ. ნიკოლაძე.**

*) ამ წერილის დაწერის შემდეგ ცხრა თვე არ გასულა, რომ სწორედ ამავე სიტყვებით განმარტა პოლიტიკური თავისუფლება ერისა 17 ოქტომბრის 1905 წლის მანიფესტმა.

**ახალი შენიშვნა.**

# რ ე ა ქ ც ი ა

როდისღაც გამიგონია ერთი კურიოზული ამბავი: უცხოეთიდან ქ. პარიზის სანახავად ჩამოუყვანიათ მრავალი ბავშვები.

მთელი დღეები ბავშვები დაჰყავდათ ამ უშველებელ მსოფლიო ქალაქში და უჩვენებდნენ მის სიმდიდრეს—მრავალ ნაშთებს, მუზეუმებს, საუცხოვო სასახლეებს, თეატრებს.

შინ გამგზავრების წინ, რკინის გზის სადგურზედ შუა გულ ბავშვებში ერთი ფრანგი შეიჭრა და ხმამაღლა შეეკითხა ბავშვებს:

— ბავშვებო! რა უფრო მოგეწონათ ჩვენს პარიზში?!

— დიდი ბულკებიო! *) ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა ეს ბავშვური პასუხი მომაგონდება ხოლმე, როდესაც ამას წინად საზღვარ გარეთიდან დაბრუნებულს ახალგაზრდა ქართველობას შეეკითხებოდით:

აბა ახალგაზრდებო, გვიამბეთ, რა მოგეწონათ პარიზში, ჟენევაში, ლონდონში? რაზედ შეჩერდა თქვენი თვალი, რამ მიიპყრო თქვენი ყურადღება და აამუშავა თქვენი გონება?

— სოციალიზმი, კომუნიზმი, ანარქიზმი! იყო მათი ერთხმიანი პასუხი.

რასაკვირველია თქვენც გულიანად გაუღიმებდით ამ გულუბრყვილო პასუხს. ჩვენ ბავშვებსაც „დიდი ბულკები“ მოსწონებიათ...

*) პარიზის მეპურეები ჩვეულებრივად გემრიელად პურებს აცხობენ.

მაგრამ გავიდა დრო.

ქართველი ბავშვები წამოიზარდნენ და კაცებად იქცნენ.

შეგნებულად თავის გარშემო მიიხედ-მოიხედეს და თუ გუშინ ,,დიდ ბულკების“ მეტი ვერაფერი შეუმჩნევიათ და გაუგონიათ. დღეს ნახეს და გაიგეს ბევრი სხვა რამეც.

მაგალითად პარიზში:

ნახეს Notre Dame.

ნახეს ლუვრი.

ნახეს პანთეონი.

ეს დიდებული ძეგლები საფრანგეთის ერისა...

და გაიგეს, რომ აქ გაშოიჭედა გენიალური ეროვნული იდეა და ჩამოისხა ბრწყინვალე საფრანგეთის კლასიკური ნაცია.

ნახეს დიდებული ძეგლიც დიდებულ პატრიოტისა ვიქტორ ჰიუგოსი, რომლის ხსოვნას ამ რამდენიმე ხნის წინად მთელმა საფრანგეთმა, განურჩევლად წოდებისა და კლასებისა, მუხლ მოდრეკილმა პატივი სცა, და დარწმუნდნენ, რომ ერი, ნაცია და მისი იდეალები უკვდავნი არიან და მოკვდებიან მარტო, როდესაც თვით კაცობრიობა აღიგვება ზურგიდან დედამიწისა.

გაიზარდნენ, ნახეს, გაიგეს, შეიგნეს და დარწმუნდნენ.

და დღეს ჰასაკოვან პასუხსაც იძლევიან. ამას მოწმობენ ის წერილები და თანაგრძნობანი, რომელიც მოსდის ჟურნალ ,,კლდეს“, ამ უკანასკნელ დროს საზღვარ გარეთში მცხოვრებ ახალგაზრდობისაგან.

პარიზიდან, ლონდონიდან, ჟენევიდან და სხვა უცხოეთის ქალაქებიდან გვიგზავნიან წერილებს, გამსჭვალულთ ძლიერი მამულიშვილური მოტივებით და გრძნობებით.

მათში ისმის, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ცხარე პროტესტი ქართულ ცხოვრებაში გამეფებულ სიცრუის და ფარისევლურ პოლიტიკის წინააღმდეგ.

მათში ისმის მუქარა გაბატონებულ დღევანდელ ანტიეროვნულ პოლიტიკისადმი საქართველოში, რომლის მეთაურები ქვეყანას საშინელი სის წრაფით დაღუპვისაკენ მიაქანებენ.

მათში ისმის სალი ,,რეაქციის“ ხმა, ჯანსაღი და ჰასაკოვან ქართველ განათლებულ ახალგაზრდობისა.

და ამ ეროვნულ გრძნობათა რეაქციის მოწინავე ჟუნალი ,,კლდე“ ქართველ ახალგაზრდობის გაღვიძებას გულ-წრფელი სალამით უხვდება და სრულად იმედოვნებს, რომ მისი ძვირფასი ნაყოფი სინამდვილეშიაც მალე იჩენს თავსა.

და მაშინ ქართველი ერის გამძაგებულ მტრებისათვის თამამად და გაბედულად გვარწმუნებს:

ნაადრევად ურეკავთ ქართველ ერს გლოვის ზარსა!

ნაადრევად...

ჯერ საქართველო არ დაღუპულა!

**დ. კახელი.**

# ძალუა ბერტას დახმარება

(რუსულიდგან)

ეს ამბავი ამ სამი წლის წინად მოხდა, და ამაზედ მე თავის დროზედ უკვე ვწერდი. ჩემმა წერილმა გაზეთების მთელი რიგი მოიარა, და ბევრმა გადაბეჭდა, თუმცა იმათ არც კი სჯეროდა იგი და გაკვირვებით კითხულობდნენ:

— ნუ თუ შეიძლება ეს მომხდარიყო?

დიაღ, ყველა ეს სრული ჭეშმარიტებაა. რასაკვირველია, აქ მხოლოდ სახელებია შეცვლილი.

I

მოსე გუტნიკს გიმნაზიის გათავების შემდეგ სამგვარი ბედი ელიმოდა: — შიმშილით სიკვდილი, სააფთიაქო შეგირდობა და ქრისტიანობის მიღება. მოსემ უკანასკნელი აირჩია. ამაზე ის დაითანხმა ყოფილმა ვიცე-გუბერნატორმა, გიმნაზიის მზრუნველმა; იგივე იყო მისი ნათლიაც, და დაანათლა — ოქროს ჯვარი, 25 მანეთი ფული, თავისი სურათი და სარეკომენდაციო წერილი პეტერბურგში. მოსე გამოეთხოვა თავის მოხუც დედას და ერთად ერთს დას, რივას, რომელიც გიმნაზიაში სწავლობდა და გაკვეთილებით შოულობდა ლუკმა პურს თავისა და თავის დედისათვის. მოსე, რომელიც ეხლა უკვე ნიკოლოზად იქცა, ჩრდილო სატახტო ქალაქში გაემგზავრა. საინჟინერო ინსტიტუტში საკონკურსო გამოცდები ნიკოლოზმა მშვენივრად ჩააბარა, და სტუდენტადაც ჩაირიცხა. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ შეზღუდულნი უფლებანი იმ მართლ მადიდებელთათვის, რომლების ქაღალდებშიაც აღნიშნულია.

— ,,ებრაელთაგანი“.

დაიწყო სასწავლო წელი. ნიკოლოზს სწავლის

გარდა, ჭამაც უხდებოდა. და რადგანაც საამისოდ უნდა სადმე სალსარი გამოეძებნა, ამიტომ თავისი ნათლიის სარეკომენდაციო წერილით ერთს ცნობილს დიდ-მოხელესთან მივიდა. იმან თავის მხრივ სადარბაზო ბარათი მისცა პოლიცმეისტერთან. და ერთი კვირის შემდეგ ნიკოლოოზმა უმცროსი პასპორტისტის ადგილი მიიღო ერთს საპოლიციო ნაწილში. იღებდა თვეში სამ თუმან-ნახევარს; თხუთმეტს მანეთს დედას უგზავნიდა, დანარჩენით კი თითონ სცხოვრობდა. ვინაიდგან ის ებრაელი ღატაკი იყო, და ფულის ყადრი იცოდა.

II

გავიდა ორი წელი. დედაბერი მოკვდა. რივამ გიმნაზია დაამთავრა, სადღაც კურსებზედ აპირობდა შესვლას, და უცბად თავის ძმას წერილების წერა მოუსპო. ძმა კი ეხლა უკვე მესამე კურსის საუნივერსიტეტო სტუდენტი იყო. ერთს საღამოს დაღლილი და მოწყენილი იჯდა ის საპოლიციო ნაწილის კანცელარიაში, სადაც ის ეხლა უფროსს პასპორტისტად იყო, და დღიურ ფურცლებს არჩევდა. და უცბად იგი შეჩერდა ერთს ფურცელზედ:

— რებეკკა ბორუხის ასული გუტნიკი. 18 წლისა, ჩამოვიდა საულევკიდგან. ხელობა: როსკიპია.

ნიკოლოოზმა ხმა არ ამოიღო. ის ისევე იჯდა, გაქვავებული, გაშეშებული. შუბლზედ ცივმა ოფლმა დაასხა და ჩამონადენი ოფლი ცრემლთა შეერთებული, ნელა წვეთ-წვეთად ელვენთებოდა მაგიდას. თვალნი აენთო, მაგრამ სწრაფლ ჩაქრნენ, მთელს ტანში თრთოლვით უვლიდა ცივი ჟრჟოლა. თმა ყალყს უდგებოდა. და ტუჩები უსიტყვოდ ამბობდენ:

— რივოჩკა, ჩემი რივოჩკა... როსკიპი რებეკკა გუტნიკი.

III

ნიკოლოოზი დასთან არ წავიდა, თუმცა გული იქით უწევდა. დასთან არ წავიდა, დაბრუნდა სახლში და სკივრიდგან ამოიღო ოდესღაც ინსტიტუტიდგან მოტანილი შუშა, რომელშიაც რაღაც სითხე იდვა. დალია ის. და ღამე საშინელი ტანჯვით განუტევა სული. სიკვდილის წინ რივას წერილი დაუტოვა:

— „ვკვდები, მოკვდი შენცა. იქ შევხვდეთ ერთმანეთს, იქ, ღმერთმან, სადაც არ არიან არც ებრაელები, არც როსკიპები. ნახვამდის. შენი ძმა მოსე.“

დილით, მეეზოვეებს გამოჰქონდათ გამომძიებლის განკარგულებისამებრ მიცვალებულის გვამი ანატომიურ თეატრში წასაღებად, როდესაც უფროსმა მეეზოვემ გამომძიებელს გადასცა საქალაქო ფოსტით მიღებული წერილი ნიკოლოოზ გუტნიკის სახელზედ. გახსნეს ის წერილი და წაიკითხეს:

— „ჩემო კარგო, საყვარელო ძმაო! წუხელის ჩამოვედი პეტერბურგში. მინდა კურსებზედ შევიდე. პეტერბ. ცხოვრების უფლება მაქვს, რადგანაც ძალუა ბერტა დამეხმარა და ყვითელი ბილეთი მიშოვა. მინდოდა უცაბედად მენახე, მაგრამ მერე შემეშინდა, ამით ძალიან არ შემეწუხებინე. აი ეხლა ყველაფერი მოვაწყე. ჩქარა მოირბინე ჩემთან, ჩემო კარგო ძმაე. მე ვცხოვრობ „პარიზის“ ნომრებში. მე თვითონ მოვიდოდი შენთან, მაგრამ პოლიციაში შენი ადრესი არ მითხრეს. გკოცნი ბევრს. გელი. შენი რივა.“

IV

ამბობენ, რივა ავად გახდაო. საავადმყოფოდგან რომ გამოეწერა, ხიდიდგან ნევაში გადავარდა და თავი დაიღრჩო. წერილი არ დაუტოვებია, რადგან არავინ ჰყავდა, ვისთვისაც მიეწერა. ის ისწრაფოდა თავისს ძმასთან. ის ხომ უცდიდა რივას იქ, სადაც არ არის არც ცხოვრების ტრაგედია, არც თვით ცხოვრება.

**გ. ნამორაძე.**

# მუნიციპალური კრება

ამ ჟამად თბილისში კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებებია. გაზეთებმა უკვე აღნიშნეს, რომ მონაწილეთა შორის არა გვხვდებიან ისეთი მუნიციპალური მოღვაწენი, რომელთაც სავსებით შეეძლოთ გამოერკვიათ რთული საჭიროებანი მუნიციპალურის ცხოვრებისა. არ შეგვიძლიან არ დავეთანხმოთ ამ აზრს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ როგორც „ტიფლისკი ლისტოკი“ აღნიშნავას ამ კრებებს „ვიღაცა აკლია“ და ეს „ვიღაცა“ ბ. ხატისოვია, რომელიც უქეიფობის გამო კრებებს ვერ ესწრობა. არა! კავკასიის უფრო მომზადებული და მცოდნე პირები ჰყავს და სწორედ ეს პირები არა სჩანან კრებაზედ. სამაგიეროდ კრებები სავსეა მრა-

ვალის ადამიანებით, რომლებიც ჩვენ სმენას არაფერს ეუბნებიან. მაგრამ ყველაზედ სამწუხარო ის არის, რომ ტრიბუნა სწორედ ამ უმნიშვნელო პირებს ჩაუვარდათ ხელში და ღმერთმა უწყის რით არ უმასპინძლდებიან მსმენელთ. ასეთს რიცხვს ეკუთვნიან მაგალითად: პ. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელმაც მოხსენება წაიკითხა კავკასიის ქალაქების სანიტარულ და სამკურნალო ბიუჯეტზედ და იქვე გამოტყდა, რომ მთელი სტატისტიკური სიბრძნე „კავკასიის კალენდარიდან“ ამოუკრეფია — ბ-ნი ჯაბარი, რომელმაც კრებას იმის მეტი ვერა ურჩიარა, რომ კიევის მუნიციპალურ კრების რეზოლუციები ხელუხლებლივ მიელო და კიდევ ბ-ნი ალიბეგოვი, რომელმაც საჯაროდ შესანიშნავი აღმოჩენა მოახდინა იმის შესახებ, რომ ძუძუმწოვარა ბავშვთათვის რძე მიუცილებელი რამ არის. როგორც ხედავთ, თბილისის წარმომადგენლებმა რეკორდი „ჩაარტყეს“ თავის ბრძნულ მოხსენებებით. ერთის სიტყვით, ისღა დაგვრჩენია, რომ კათედრაზედ არშაკ ბაბოვი გამოვიდეს და სთქვას, რომ „უდიდესი სარგებლობა ქინძისთავებისა იმაში მდგომარეობს, რომ ქინძისთავი არ აღრჩობს იმას, ვინც მას არა ჰყლაპავს“.

სამწუხაროა ყველა ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ მოქალაქობრივი გამბედაობა მოითხოვს არც ნიშნის მოგებას მოვერიდოთ და როცა ჩვენი მამები ასე საჯაროდ შერცხვნენ, გავახსენოთ ყველა ის, რაც არა ერთხელ გვითქვამს:

— ახია და ათასჯერ ახია!

ადამიანები, რომლებიც ყოველ უნიჭოებას სწყალობდნენ, ოღონდ ეს უნიჭოება მათი საკუთრება ყოფილიყო, ადმიანები, რომლებიც თავის ცხვირების იქით ვეღარას ხედავდნენ და საზოგადო დაწესებულება თავიანთი დახლი ეგონათ; ადამიანები, რომლებიც დაბრმავებულნი იყვნენ კასტურის და შოვინისტურის ჟინით და რომლებსაც კრიტიკისა ისე ეშინოდათ, როგორც მეფისტოფელს ჯვარისა, ერთხელაც არის ასეთ სირცხვილს მოიმკიდნენ. განა რას წარმოადგენს თბილისის საქალაქო თვითმართველობა. არის, განა, იქ ერთიც არის ცოცხალი და ნიჭიერი არსება, რომელსაც შეგვიძლიან ვანდოთ ჩვენი სახელი? ყოველივე ცოცხალი იქ ჩაფლულია გაუვალ ჭაობში და ნიჭი კი ზედმეტად არის ცნობილი, რადგანაც თბილისის თვითმმართველობა მარტოოდენ ხატისოვის „ტალანტებითაც“ კმაყოფილდება! კრებებმა გვიჩვენეს, რომ ჩვენს თვითმმართველობაში მაღალ სამსახურს ისეთი ადამიანები აღწევდნენ, რომლებიც თავის სიბრძნეს „კავკასიის კალენდარიდან“ ჰკენკავენ, ამას ზედ დაუმატეთ კარიერა სხვა დანარჩენ მუნიციპალურ არარაობათა დიდის ჯამაგირებით, [illegible] მეტოქობა და მარტოოდენ სომხური პატრიოტიზმი და მთელი სურათიც ჩვენის მუნიციპალიტეტისა ეს არის.

რას ნიშნავს ქალაქების წარმომადგენელთა კრება? ეგზამენიას ცოდნისას, გამოცდილებისა და შრომისას! და განა აქვთ ეს თვისებანი იმ პირთ, რომლებიც ეხლა ასეთის რიხით კითხულობენ მოხსენებათ კრებებზედ. ბ. ჯაბარს იმის მეტი არა გაუკეთებია რა, რომ ერთს უმგვანო ჟურნალსა სცემდა და რიგ-რიგობით ხან თავის სურათს ხატავდა შიგ, ხან არკადი მილოვისას. აი მთელი მისი მუნიციპალური ცოდნა და ბაგაჟი! თბილისის თვითმმართველობაში გამეფებული იყო მხოლოდ შოვინიზმი, ალვირ-ახსნილობა, უსაქმურობა და ბოროტ-მოქმედება და როცა ასეთმა თვითმმართველობამ თავს იდვა ინიციატივა კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების მოწვევისა მან თავისი თავი ძალაუნებურად ისეთ ცუდლუტ შეგირდს დაადარა, რომელიც მოუმზადებელი მიდის გამოცდაზედ. და ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ, რომ იგი ამ გამოცდაზედ ჩაიჭრა.

**ფარსმან-ფარუხი.**

---

# კიდევ ერთი ახალი ბოროტმოქმედება

### წინასწარტყვაობა ქართ. პარიზელ მოსწავლეთა:

პატივცემულ ჟურნალ „კლდის“ რედაქციას.

დღევანდელ მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას ხვალინდელი საქართველოს სულიერი და მატერიალური განძის დაცვა და გამდიდრება ჰმართებს. ყოველი „ხვალეს“ შესაძლო სახე, ყოველი წინა დღის მოქმედების მანერით განიმზადება;

და თავისი მომავალი მოვალეობის შემგნები ახალგაზრდობაც იდუმალ ეხმაურება სამშობლოს წიაღზე მიმდინარე ყოველ მოვლენას. იდუმალ შობილი განცდა, თითქმის ყოველთვის იდუმალადვე იხშობა: სრულ მოწიფულობის მოლოდინში, მოსწავლე ახალგაზრდობა ერიდება მის გამოფენას. ყოველდღიურ ვარამზე გამოპასუხება, მას უფროს თა-

ობის ძვირად შესადარებელ საქმედ მიაჩნია. დღეს კი ეგ სიმორცხვე ახალგაზრდობასა დაიძლია: ზედიზედ მიღებული წიხლი უნებურად გვტაცებს გულიდან ეროვნულ სინიდისის კვნესას. ვანდობთ მას პატივცემულ „კლდის" რედაქციის მზრუნველობას. ხომ რამეს უნდა ნიშნავდეს იგი კვნესა ქართველ საზოგადოებისათვის?!

სიჩუმე მშვენიერია, გარნა ზოგჯერ იგიც დანაშაულია.

— —

ან არსებობს საქართველო და ყოველი ღირსეული მამულიშვილიც გულისცემითა თვისითა ათბობს და აყვავილებს ქართველ ერის ჯანსაღ, თავმომწონე, განათლებით დამშვენებულ მომავლის იდეალს; ან აღარ არსებობს საქართველო და იდეალიც მისი ერად-ერობისა თან წარუღიათ წარსულის გმირთა და უკაცოდ შთენილი მამულ-დედული დღეს საძიძგნად ხდომია წილად ორგულთ და უძღებთ!

თუ პირველია სახე სინამდვილისა,—**საქმით** გამოსახული თავ-დადებაა, სწორად დამამშვენებელი ამ მომავლის იდეალისა და იგი თავდადება ვერ დასტოვებს დაუსჯელად, ვინც ფითრსა ჩასთესს ეროვნულ სხეულში.

მცდარია როგორც აზრი და დამღუპველი თავის შედეგით თითქოს თითეულ გივსა, მურზაყანს უფლება აქვს ისე მოექცეს თვის საკუთრებას, როგორც ისურვებდეს! მოეპრიანა გივს, თუნდ კუჭის სიჭლექის გამო, შიგქართლში გადამთიელები ჩაასახლოს; მოეპრიანა მურზაყანს წაჰბაძა გივსა და ვინმე მესამეც აჰყვეს კიდევ მურზაყანს. ხომ ჩაგუნდდა ქართულ ორგანიზმში,—რომლის თავისებური მორფოლოგია და ფუნქცია, საუკუნეთა სვლაში განთვითებულა, გამოჰყოფია სხვათა და დადასტურებულა კიდეც,—ჩაგუნდდა სხვა სახის და ფუქციის ორგანიზმები?!

ეს ხომ შემოსევაა ჩვენ ეროვნულ სხეულზედ უცხო პატოგენურ აგენტებისა; მაშასადამე მისი დაავადებაა, დარღვევა მისი მთლიანობისა?!! ტყუილია! თითოეულ პირის ქეიფს ვერ აედევნება ერი. უზენაესი ინტერესი კერძოთა ინტერესის ჩაჩუმებას ვეღარ აიცდენს. და ვისაც შემკავებელი ცენტრი უსუსტებს, დისციპლინა გარედან უნდა დააწვეს.

ეროვნულ იდეალს, ეროვნული ჩაქუჩი უნდა ეჭიროს! და დასავალი გივის მოქმედების უფლებისა თავდება სწორედ იქ, საცა იწყება აღმოსავალი **შეგნებულ** ეროვნულ თავ-დაცვის უფლებისა.

რა მცდარია, როგორც აზრი და [illegible]ლი, როგორც გრძნობა, ქართველ კაცის იდეალ ეროვნულ განცდათა თვალსაზრისით, თქმა იმისა, ვითომ თვითეულ მანთაშევს, ციმერმანს უფლება აქვს ათი-ათასობით დღიური მიწა იყიდოს!!

ეროვნულ სიკვდილზე ხელის მოუწერლად ამ უფლებაზე გულწრფელ დასტურს, ვერც ჩუმსა და ვერც ხმაყოფილს, ვერავინ დასცემს ქართველი!

ციმერმანს რომ თავი გავანებოთ, ბ-ნი მანთაშევი არც ჩვენი გუშინდელი სტუმრის შვილია.

მან კარგად უნდა უწყოდეს, თუ რა ყოფნა არ ყოფნის საგნად დაუსახავს ამომავალ ქართველობას დაცვა საქართველოს მთლიანობისა! თუ რა სალოცავ ხატად გულს უსვენია ეგ მიწა ნაანდერძევი, წინაპართა სისხლით გაჟღენთილი, წინაპართა თავდადების გოლგოთა, დღესაც მკვნესარი ჩვენი ძვირფასი გარდასულების ხმითა!

თუ არ იცის, უნდა სცოდნოდა! და თუ იცის, უნდა დარიდებოდა ქართველობის ამ მტკივნეულ ადგილზე ფეხის დაჭირებასა.

რაც უფრო უმანკო იქნებოდა მოტივი ამილახვრიანთ მამულის ხელში ჩაგდებისა, მით უფრო საჭოჭმანოდ უნდა სჩვენებოდა ეგ საქმე ბ ნ მანთაშევს.

ამის გაგება არ არის ძნელი, თუ გული არ მრუდობს. ქართველობის ღირსება ისე არ დაცემულა, თქვენმა მზემ, რომ მის გრძნობათა და სულის-კვეთებას კრძალვით და რიდით აღარ მოეპყრან თუნდ ციმერმან-მანთაშევები?!— ახალი საქართველო ძველია ტრადიციით. მარტოოდენ ადლმა და ოყამ ვერ ამოზომის მისი ბუნება!

ისმინოს ყველამ, შინაურმა გამყიდველმა და გარეშე მყიდველმაც: ბოროტ-მოქმედებათა სიმძიმით წელში დადრეკილი საქართველო და მისი მესაიდუმლე, ეროვნულ აღორძინების პოტენციალი, —ქართველი ახალგაზრდობა— ვერავის უცნობს იმის უფლებას, რომ სჭრან და აჭრელონ აღმა-დაღმა სხეული ქართველთ ერისა.

ესეთი საქციელი, წინაშე მათი თვითშეგნებისა, ეროვნული ბოროტ-მოქმედებაა. ხოლო ბოროტ-მოქმედება თვით მაცხოვარმაც ვეღარ დასტოვა დაუსჯელად: ჯოჯოხეთი საუკუნოდ მას მიუჩინა. და ჩვენ კი კაცნი ვართ.

— ხოლო თუ მეორეა სახე ჩვენი სინამდვილისა,—ბებერი ლომის უკანასკნელი გაზმორება—ეროვნულ თავდაცვის **ინსტინქტიური** გამოცხადება—ბარე ერთსა და ორს შემომჯდარ ბუზს კიდევ აიფრენს!

**პარიზში მოსწავლე ქართველი ამხანაგობა.**

# სად უნდა მოეწყოს კახეთის სასოფლო ბანკების კავშირის მმართველობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. დავით ლუკაშვილმა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებიდან ამას წინად გვამცნო, რომ ახლო მომავალში კახეთის წვრილ საკრედიტო ამხანაგობების ანუ სასოფლო ბანკების მოღვაწეთა თათბირი მოხდება, რომლის დანიშნულებაა გამოარკვიოს, სად უნდა მოეწყოს კავშირის გამგეობა, ე. ი. მისი ცენტრალური მმართველობა. ორიოდე სიტყვით ჩვენს აზრსაც გაუზიარებთ კახელ კოოპერატორებს. უპირველეს ყოვლისა მეტოქეობა, შური და პროვინციალური პატრიოტიზმი სრულიად გამოტოვებული უნდა იყოს ამ ფრიად სერიოზულ საქმის კამათის გარშემო. ძველებურად თუ მივყევით და დავიწყეთ: სიღნაღელებს თელაველებმა რად უნდა აჯობონ? რატომ კავშირი სიღნაღის მაზრაში არ უნდა მოეწყოს? ამისთანა მსჯელობით და მტკიცებით ფონს ვერ მგავალთ. ცენტრალურ კავშირის მოწყობა და მისთვის შესაფერი ადგილის გამოჩენა სახუმარო საქმე არ არის, რომ პროვინციალურ კინკლაობით დაუხვდეთ ამ დიდ სახალხო საქმეს. კახეთი ერთი დიდი პროვინციაა საქართველოსი, რომელიც ხასიათდება ეკონომიურ და საერთო მეურნეობის პირობების ერთგვარობით. დანაწილება მისი ორ მაზრად ადმინისტრატიულია და შემოტანილი ახალ მებატონეთა მმართველობით. ჩვენი ეკონომიური ორგანიზაციები და მეტადრე კოოპერატივები უნდა ხელმძღვანელობდნენ მარტო საერთო გეოგრაფიულ ეკონომიურ პირობებით და არა ადმინისტრატიულით. მაგალითად; კავშირისთვის ალაგის არჩევის დროს კახელ კოოპერატორებს უნდა ჰქონდეთ მხედველობაში მთელი ერთგვარი სამეურნეო რაიონი—კახეთი, და რადგანაც მის ეკონომიურ ცხოვრების მთლიანობაში ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, უნდა მთელ კახეთში მოვაწყოთ ერთი კავშირი. დაწვრილებით, რატომ ერთი და არა ორი და ათი, ამას ცალკე წერილში გავარჩევ. მაგრამ უნდა აქაც შევნიშნო, რომ ეს შეხედულობა მით უფრო საფუძვლიანია და უკამათო, რამდენადაც ცხადია, რომ ჩვენი საქმიანობა ღარიბია მომუშავე ხალხით, ცოდნით, სახსარით და სხვა. ორ კავშირს კახეთში ვერ გაუძლვება კახეთის სოფლის ინტელიგენცია, ერთს გაუძლვებოდა; ერთს მმართველობას კარგად შეინახავს, ორს-ვერა. და რად უნდა კახეთს ორი კავშირი? განა ისეთი დიდი ქვეყანაა. სიგძეზე 60 ვერსია, სიგანეზე 30. მასთან 1915 წ. რკინის გზა გაიხსნება და ერთმანეთში მისვლა მოსვლა ერთი-ორი საათიდლა განიზომება. ამიტომ ლაპარაკი და კამათი ორ კავშირის დაარსებაზე კახეთში სრულიად უქმია. ეხლა სად უნდა მოეწყოს კავშირის ცენტრალური მართველობა. ამ მხრივაც ჩვენ სრულიად ვეთანხმებით დ. ლუკაშვილის აზრს: (თუმცა ამ სტრიქონების დამწერი სიღნაღის მაზრის მცხოვრებია). კავშირის ცენტრი ქ. თელავში უნდა მოეწყოს და აი რატომ. ქ. სიღნაღი სამწუხაროდ გამოტოვებული უნდა იყოს, რადგანაც მისი მდგომარეობა და მიუდგომლობა (სახეში მაქვს რკ. გზის ლიანდაგი) კოოპერატიულ ბანკების ცენტრისთვის უხერხული იქნება. მაშ უნდა ავირჩიოთ ან სოფ. გურჯაანი ან ქ. თელავი, რადგანაც სხვა სოფლები მოკლებულნი არიან საადმინისტრაციო, საფოსტო და სხვა ამ გვარ საჭირო დაწესებულებებს. ს. გურჯაანს დღეს კიდეც წილად ბევრი ერგო. უკანასკნელად გადაწყდა, რომ სახ. „კახეთის“ ცენტრალური ღვინის სარდაფი მარნები და თვით მთავარი გამგეობაც ს. გურჯაანს მოეწყობიან. ე. იგი ს. გურჯაანი საკმაოდ გაძლიერებული და მდიდარ ცენტრად იქცევა. ჩვენ მოვალენი ვართ სხვა კახეთის ადგილებიც და მეტადრე მისი ქალაქები გავაძლიეროთ და შემოუკრიფოთ მწარმოებელი ხალხის ძალები. თუ ქ. სიღნაღს დღეს ნიშან წყალი დეეტყო, იმიტომ რომ იქ იკრიფება საზოგადო და ეკონომიური დაწესებულებანი, რომელნიც ჰკრეფენ ხალხს (განსაკუთრებით გარს შემორტყმულ ქიზიყელებს). ამ მხრივ ქ. თელავი სრულიად ჩამორჩენილია. ჩვენთვის კი მისი ჩამორჩენა ძალიან მავნებელია, რადგანაც ამ ჩამორჩენას თანა სდევს ქართველობის მაჯის ცემის მოდუნება და უცხო ელემენტით ერთ-ერთ ეკონომიურ ცენტრის გავსება. და აი ამ საკითხით რომ კავშირის ცენტრის მოწყობა ქ. თელავში ძალიან სასურველია და საჭიროც. მასთან რა შეაწუხებს კავშირის მმართველობას ქ. თელავში მოწყობილს? არაფერი. პირიქით ყველა დაწესებულებანი ასე საჭირო ცენტრალურ კოოპერატიულ კახეთის ბანკისთვის იქვეა: სასამართლო, ფოსტა ტელეგრაფი, ხაზინა, ნოტარიატი. მისვლა-მოსვლა კავშირის ამხა-

ნავობების წევრებისა, როგორც ზევითა ვსთქვი, რკინის გზით, მეტად ადვილია.

ე. ი. თელავში ყველაფერი მზადაა კავშირის საფუძვლიანად მოწყობისათვის. აი რატომ მე იმ აზრისა გახლავართ, რომ კახეთის სასოფლო ბანკების კავშირის ცენტრალური მართველობა ქ. თელავში უნდა მოეწყოს.

**დ. ვაჩნაძე.**

---

# უკანასკნელი ამბები

**სანჯანოვის განდევნა ქართულ კლუბიდან.** ცნობილი პრისტავი სანჯანოვი, რომელმაც ამას წინად სოფ. წინანდალი ააწიოკა და ცემა-ტყეპით აიკლო გლეხობა, და დახოცვასაც უპირებდა, და რომელიც მთავრობამ სამსახურიდან გადააყენა და სასამართლოში მისცა, როგორც გადმოგვცეს თურმე შებრძანებულა ქართულ კლუბში და მხიარულად ატარებდა დროს. სრულიად შემთხვევით ჩვენი რედაქციის თანამშრომელმა იცნო სანჯანოვი, მაშინვე შეატყობინა კლუბის მამასახლისებს და მოითხოვა მისი განდევნა. ქართულ კლუბის მამასახლისებმაც მაშინვე განკარგულება გასცეს და ამ ვაჟბატონს კლუბის კარები უჩვენეს.

---

**საადგილ-მამულო კომისია.** ამ უკანასკნელ დროს საადგილ-მამულო კომისიაში მრავალი ხალხი დაიარება. მათ შორის დიდძალი გლეხობა მოდის მიწის სყიდვაში რჩევისა და დახმარების სათხოვნელად. სჩანს, საერთო საადგილ-მამულო კრიზისი ნათლად დაეტყო ქართველ მემამულეობას და მეტადრე ქართლ-კახეთის გლეხობას, რომელმაც დღეს იგრძნო, რომ მართლაც უნდა დაეშუროს მამულების ყიდვასა, თორემ დღეს-ხვალ სრულიად უმიწოდ დარჩება. აქამდის საადგილ-მამულო კომისია პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, მაგრამ დღეს მისი მუშაობის მაჯისცემა სამწუხაროდ მიდუმდა და სწორედ ამ გამწვავებულ დროს ველარ უძღვება თავის დიდ საქმეს. მიზეზი ამ მდგომარეობისა ის არის, რომ მისი საორგანიზაციო საქმიანობა ვერ არის შესაფერისად მოწყობილი. საერეორგანიზაციო პროექტი კომისიისა, აქამდის დეპუტატთა საკრებულოს მაუდის ქვეშ იმყოფება. და კომისიის წევრებიც უფულოდ და უგემურად, მხნე მუშაობის მაგივრად — ქველმოქმედობენ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არც კეზელის და არც ამილახვრების მამულები ხელიდან არ [illegible] საადგილ-მამულო კომისია მართლაც რომ [illegible] ყოფილიყო მოწყობილი და ისე ემუშავნა, როგორც მის დანიშნულებას შეეფერებოდა. ამ დაწესებულების მოწყობა — გამაგრება, გაფართოვება აუცილებელია, რადგანაც დღევანდელი აგრარული და ეკონომიური კრიზისი საქართველოში და მასთან მისი მტრების ქართულ მიწა-წყალზედ გამძაგებული იერიში დიდ მოწყობილ და ენერგიულ მუშაობას თხოულობს. კახეთის და ქართლის ქართველთა მიწის მფლობელობა პირდაპირ იწვის და მშველელი კი უძლურად ხელებს იქნევს და მარტო შორიდან სეირს უყურებს. გვგონია, რომ დროა დეპუტატთა საკრებულომ ამ მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს და ამ ფრიად მნიშვნელოვან დაწესებულებას სიცოცხლე ჩაჰბეროს და მწყობრ პრაქტიკულ მუშაობის გზას დააყენოს.

---

**ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების კრება,** რომელიც 21 გიორგობისთვეს მოხდა უფრო დიდმნიშვნელოვანი გამოდგა, სწრაფად მიღებულ გარდაწყვეტილებით, ვიდრე წამოყენებულ საკითხის სიმძიმეს შეეფერებოდა. პირველი და უკანასკნელი არ არის, რომ სასკოლო კომიტეტი უილაჯოდ უდგენს საზოგადოებას საშინელ ანგარიშს, რომლითაც **სკოლა სასწავლებელი** იჩაგრება და ეწამება **შენობის** ვალის სიმძიმით.

საკითხი მეტად მძიმე იყო, მეტის სიდარბაისლით შეეფერებოდა აწონ-დაწონვა მიღებულ ზომათა, მაგრამ თითქმის განგებ ეს საკითხი ყოველთვის ჰაი-ჰარად წამოჰყოფს ხოლმე თავსა, როცა ვალში უნდა გაიყიდოს (?) მერე რა ზომები სცნეს საგულისხმოდ: განოვის ქუჩაზედ სახლის გაყიდვა, სწავლის ფასის მომატება, სახლის გადაგირავება და სხვ. ეს ზომები ცალ-ცალკე რომ განიხილოს კაცმა, არამთუ არ აუმჯობესებენ მდგომარეობას, პირიქით ამწვავებენ და თოკს უჭერენ ისედაც გაჭირებულ საქმეს. მაშინ როდესაც 60000 მანეთად განსაკუთრებით შეიძლება იქონიოს საზოგადოებამ გიმნაზია, ეხლა ეს 60000 უნდა წავიდეს მარტო შენობაზედ: 40000 %-ში და 20000-მდე თვით შენობის მოვლაზედ. ესეთი კომბინაცია, რომლითაც ღარიბ შეგირდებისთვისაც სპობენ საშუალებას სწავლისას, არ იძლევა არავითარ გარანტიას, რომ საბოლოოდ შენობას ეშველება რამე და აუტანელი

ვალი ხომ მუხრუჭს უჭერს სასწავლებლის არსებობას და ავიწროვებს სწავლების ფარგალს. ჩვენის აზრით, სრულიად განცალკევებული უნდა ყოფილიყო საკითხი სწავლისა და შენობის. მაშინ სასწავლო კომიტეტს შეეძლებოდა საკუთარ კომპეტენციით ეხელმძღვანელა საპედაგოგიო საკითხებში და შენობის მოვლა, გადაცემულ სხვა პირების ხელში, არ შეამრუდებდა მის, კომიტეტის, პირდაპირ დანიშნულებას.

— —

**წ. კ. საზოგადოების სხდომები.** წარსულ კვირას წ. კ. საზოგადოების სხდომაზე მეტად სერიოზული საკითხები წამოყენებული იყო. ილია ჭავჭავაძის ნაშთების და მამულების მოწყობა მოგვარება და საზოგადოების წიგნის მაღაზიის ვაჭრობის გაფართოვება. პირველმა საკითხმა გამოიწვია ცხარე კამათი. ყველა ორატორები აღნიშნავდნენ საზოგადოების გამგეობის გულგრილობას, რის შედეგად მოჰყვა განსვენებული მგოსნის დატოვებულ განძების აწიოკება-განადგურება. მაგალითად, თბილისის სახლი, საცაც მგოსანი სცხოვრობდა, ისე მიგდებული იყო გამგეობის მიერ, რომ დღეს-ხვალ უცხოელების ხელში გაიყიდებოდა (ეს სახლი საზოგადოების გამგეობამ საადგილ მამულო ბანკს დაუტოვა). „ფული არ გვაქვსო და რითი უნდა შეგვენახაო"? თავს იმართლებდა წ. კ. საზ. გამგეობა. მაგრამ კრება სრულიად არ დაეთანხმა ამ სტერეოტიპულ პასუხს და იმოითხოვა განსაკუთრებულ კომისიის არჩევა, რომელსაც დაევალა ი. ჭავჭავაძის სახლის და სხვა მისი განძების მდგომარეობის გამორკვევა და შესაფერისად მოვლა. ამ კომისიაში არჩეულნი იყვნენ: ნ. მელიქიშვილი, ა. დიასამიძე, ვ. მუსხელიშვილი, დ. ვაჩნაძე, ა. ლამბაშიძე, რ. გაბაშვილი, შ. მესხიშვილი, ნ. ჯანდიერი, ი. ზურაბიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი.

მეორე საკითხმაც არა ნაკლები ყურადღება მიიქცია. დ. ვაჩნაძე და რ. გაბაშვილი სრულიად არ დაეთანხმნენ გამგეობის ოპტიმისტურ მოხსენებას, სადაც ის აღნიშნავდა, რომ საზოგადოების წიგნის მაღაზიის მდგომარეობა მკვიდრათაა დაყენებული და უკანასკნელ წლებშიო მოგება ნამეტნავად მოემატაო. ხსენებულ წევრებმა პირიქით აღნიშნეს, რომ მაღაზიის მდგომარეობა მეტად უნუგეშოა როგორც გარეგნულ ისე შინაარსის მხრივ და წინსვლის ნიშან წყალიც არ ეტყობაო. „ყველგან არა მარტო ფულია საჭიროო, ცოტა საქმეცაო" ამბობდნენ მოწინააღმდეგენი. და მოითხოვდნენ გამგეობისაგან არა მარტო მაურიან მოგების ჩვენებას, არამედ წიგნის მაღაზიის ყოველმხრივ გაფართოვებას და სრულის კომერციულ ნიადაგზე დაყენებისას. სხვათა შორის რ. გაბაშვილმა წინადადება შეიტანა, რომ მაღაზია სასახლის ან გოლოვინის ქუჩაზედ იყოს გადატანილი, რომ უფრო მეტი ხალხი და ყურადღება მიიზიდოს. ბ. ივანე ზურაბიშვილი უფრო შორს წავიდა და დაუმტკიცა გამგეობას, რომ წ. კ. საზ. მაღაზიამ აუცილებლად კომერციულ მხარეს უნდა მოაქციოს ყურადღება და სხვათა შორის ყველა სახელმძღვანელოებით (რუსულითაც) და საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობა გააჩაღოს. ამითი მაღაზია დიდ მოსავალს ნახავსო და ფაქტიურად მთელ საქართველოსთვის ცენტრალურ ქართულ წიგნების, სახელმძღვანელოებების და საკანცელარიო ნივთების საწყობად და მონოპოლისტად გახდებაო. ამავე აზრისა იყო ბ. ე. თაყაიშვილი და ბევრი სხვა წევრებიც. გამწყრალმა გამგეობამ მოითხოვა, რომ ყველა ოპოზიციის წევრებმა კომისია შეადგინონ და შესაფერისი პროექტი წარმოადგინონ, რადგანაც თვით გამგეობამ ამისთანა პროექტის შედგენაზედ უარი განაცხადა. გამგეობის კრიტიკებმაც თანხმობა განაცხადეს ამ პროექტის შესამუშავებლად და კომისიაში მოჰყვნენ: ივანე ზურაბიშვილი, ვახტანგ ლამბაშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, რევაზ გაბაშვილი, დავით ვაჩნაძე, ა. სარაჯიშვილი. მასთან დაადგინეს სთხოვონ ბ. ფ. გოგიჩაიშვილს როგორც კომერციის მცოდნე პირს მიიღოს მონაწილეობა ამ კომისიაში.

---

# ზეპირთქმულებანი *)

### იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდან.

### I. ხრესილის ომი.

ოსმალეთის ხონთქრებმა გადასწყვიტეს საბოლოოდ დაემორჩილებინათ იმერეთი, სანამ ეს სამეფო მოასწრებდა რუსეთთან მჭიდრო კავშირის შეკვრას. ამ სათუო დროს იმერეთში მეფობდა სოლომონ პირველი, სამშობლოს წინაშე სამსახურისათვის „დიდათ" წოდებული, ნიჭიერი სარდალი, მოხერხებული გამგე (ადმინისტრატორი) და შორს გამჭვრეტი პოლიტიკოსი. როცა ახალციხის სერასკირს მოუვიდა ბძანება, რომ დიდ-

---

*) ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტომი II.

ძალის ენგიჩარის ლაშქრით შესეოდა იმერეთს და სრულიად დაეპყრო, სოლომონ მეფემ შეიგნო, რომ ეს ომიანობა იყო მისი სამეფოს ბედის და უბედობის გადამწყვეტი, მთელი სამეფო ფეხზე დააყენა, შეომარი ვინც ვარგოდა, ყველანი თოფ-იარაღში ჩასხა და დასარჩენი მცხოვრებლები გახიზნა რაჭა-ლეჩხუმის მთებში. მთავარი ჯარი, რომელშიაც იყვნენ თავიანთი მხედრობით ოდიშის მთავარი, ცოლის ძმა მეფისა, და გურიელი ერისთავთურთ დაბანაკა ქუთაისის ზემოთ, ოკრიბაში, სოფელს ხრესილს, იქ, სადაც ორმოცამდე ქცევა ვაკეს ირგვლივ ტყით შემოსილი მთები შემორტყმია. დასავლეთით და აღმოსავლეთით ამ მთებში ბუნებას დაუტოვებია თითო ხევი — კარები — ას-ასიოდე მხარის სიგანე, ერთი ქუთაისის მხრით და მეორეც საწირისაკენ. აი აქ უპირებდა სოლომონი სერასკირს შეტევებას და ბედის გადამწყვეტი ომით შებმას, რომ ან თვით დაღუპულიყო, ან მტერი გაეწყვიტა ისე, რომ მთხრობელიც არ გაეშვა შინ. სამეფო საზღვრებზე - ზეკარს, სადამქროს, კაკას ხიდზე, ხანის მთაში და ხევში მეფე ეხვდა მტერს მხოლოთ თარეშული ომით. ბატარ-ბატარა გუნდებად დაყოფილი იმერეთის მხედრობა ხან აქ დაეცემოდა თავს ოსმალოს ბანაკს, ხან იქ, მოუკლავდენ რამდენსამე კაცს და, თვითონ კი თითქმის უვნებელნი მოჩვენებასავით იმ წამსვე ქრებოდნენ უგზო-უკვლოთ. ოსმალეთის ჯარს შეუმჩნევლათ აკლდებოდა მეომარ-მეომარზე, მარა, ერთ თვალ-უწვდენელ ჩეთით *) დარაზმული, მაინც მიდიოდა თანდათან წინ; და იმერლები კი იხევდენ უკან. მდ. ყვირილაზე ფონში გავლის შემდეგ სერასკირს ერთი იმერელიც არ გადაღობებია წინ: მოთარეშენი თითქო გაწყდენ.

ქუთაისი უომრად დაიკავა მტერმა. სერასკირმა მოინდომა ქუთაისში ფეხის მოდგმა. მას უნდოდა ქუთაისი ოსმალეთის ციხე-ქალაქათ გადაექცია, აქედან განეგო, სათვალთვალოთ ვითომ დამორჩილებული, ზეგანი და ქვემო-იმერეთი, გაეტეხა გურია და ოდიში, და რაჭა-ლეჩხუმის და ზემო-იმერეთის დაპყრობას კი მერმე შედგომოდა.

სერასკირი თავისთვის კი ჭკუაზე იყო, მარა არ მოუსვენეს მისმა დამქაშებმა, ყველაზე უფრო კი — ლევან აბაშიძემ, არგვეთის შებატონემ და სამშობლოს მოღალატემ.

ეს აბაშიძე თავის თავს არგვეთის მთავრათ სთვლიდა. მეფე კი მარტო შებატონე თავადის ქურქში აყენებდა მას, და გარეშე ამისა სადრაობის ნებას არ აძლევდა. ეს იყო მიზეზი, რომ პირველ შემოხვევისთანავე აბაშიძემ თავი დაუკრა მტერს, აღუთქვა სამშობლოს დაპყრობაში შემწეობა და სამაგიეროთ ჩამოართვა სიტყვა, რომ სამეფოს დაპყრობის შემდეგ მას დანიშნავდენ არგვეთის დამოუკიდებელ მთავრათ და იმერეთის გამგეთ. სერასკირის განზრახვა კი ბოლოს უდებდა მის ოცნებას მთავრათ და იმერეთის გამგეთ გახდომისას. ამიტომაც ყველაზე უფრო ის შეუჩნდა სერასკირს: „სდიე მეფეს, სანამ მირბის! მისი ერთგულები ახლა წელ-მოწყვეტილნი არიან... მეფის ლაშქარი, რომ გგონიათ, იმაზე უფრო მოშლილია; მთებში მიტომ იმალებიან, რომ ვაკეში თქვენი ეშინიათ, დიდი ზავთი აქვს ახლა ოსმალოს იმერეთში! მერწმუნე, სერასკირო, დაეწიე შენს გაქცეულს მეფეს, შეები და ხელში ჩაიგდებ მასაც და მის ერთგულ მთავრებსაც! ერთ დღეს შესძენ ხონთქარს მთელს იმერეთს გურია-ოდიშიანათ! თუ ხონთქრის ერთგული ხარ, ახლა გაქვს დრო მისი ხმალი მოჰმართო! შენ თუ გეშინია, მე წავუძღვები შენს ლაშქარს ჩემი ერთგული მარგველებით"!

*) ჩეთი ჰქვია ოთხ-კუთხათ დარაზმულ მხედრობას, კარეს. ლაშქარი ასე დარაზმდება მხოლოთ დიდ გაჭირვების დროს.

აბაშიძეს ბანს აძლევდნენ სერასკირის ფაშები და ბეგები. ფრთხილი სარდალი დაიყოლიეს ნებას. ოსმალოს ჯარი გაემართა ოკრიბისაკენ გოდოგნის გზით. გზის მაჩვენებლათ ჰყავდათ ლევან აბაშიძე და მისი ერთგული მარგველები.

მტერი გაება დაგებულ მახეში: სამშობლოს მოღალატემ, ანგარებით გონება-დაბინდულმა და თავქედობით თვალ-დამდგარმა, ოსმალოს ლაშქარი გაიყვანა სწორეთ იმ მთებ შუა მოქცეულ ვაკეზე, სადაც კაი-დიდი ხნიდან მომარაგებული იყო მეფე სოლომონი. ზურგის ჯარის უკანასკნელს ენგიჩარს გავლილი ჰქონდა ამ მთებ შუა შესავალი (დასავლეთის) ბუნებითი კარი, და წინა რაზმი ის იყო გადიოდა აღმოსავლეთით გასავალ ხევში, რომ მთებიდან ირგვლივ, როგორც ერთი ლულიდან, ისე გავარდა რამდენიმე ათასი თოფი... ბევრი ვაჟკაცი, მოცელილი ბალახსავით, ჩაეცა მტრის რაზმებში, წინა რაზმმა მიაშურა უკანას, უკანა ეძგერა მოწინავეს... აირია ლაშქარი! მთებიდან მოდიოდა ტყვიების სეტყვა და სანამ ოსმალები გონს მოვიდოდენ, მათი სისქე ძალზე შეთხელდა. რამდენჯერმე სცადეს გაქცევა, მარა გზა ყოველი მხრით შეკრული ჰქონდათ სოლომონისაგან. იარაღის დაყრის და დამორჩილების მეტი საშველი არ ჰქონდათ ოსმალებს, მარა ეს გულშიაც არ გაუვლიათ, იმდენათ დიდი იყო მათი სავაჟკაცო ამპარტავნება. თითოეულმა ენგიჩარმა თითქოს უთქმელათ, თავის გულში გადაწყვიტა ცოცხალი არ დანებებოდა იმერლებს, და რაც შეიძლებოდა ძვირათ დაესვა მისთვის თავისი სიცოცხლე. აბაშიძის რჩევით სერასკირმა მიუშვა ჯარი იერი-

შით სწორეთ იმ ადგილს, სადაც წარმოუდგენელი იყო ჭვრეტათ შეუვალი კაცისთვის. ის იყო უმაღლესი გორა იმ მიდამოში და ჰქონდა ერთობ დაქანებული, ბუჩქნარით და აქა-იქ ხეებით შემოსილი კალთები. მწვერვალზე ბძანდებოდა თვით მეფე თავისი ამალით.

მეფის ამალას შეადგენდნენ „დიდი ნაომარი" (ვეტერანები) კაცები, ათასნაირ გაჭირვებას ქარ ცეცხლში გამოვლილნი, ომებში მონათლულნი და ბრძოლის ველზე აღზრდილნი. არც ერთი სამხედრო უცაბედობა, სხვებისთვის გასაოცარი, მათთვის საკვირველს არას მოასწავებდა, მარა ამ კანდიერმა იერიშმა, სასიკვდილოთ განწირულთაგან თავზე ხელაღებით მიტანილმა, ისინიც კი წამისით შეაცბუნა და გააშტერა. პირველათ გავარდა მეფის თოფი და შემდეგ იქუხეს ამალის მაშხანებმა. ოსმალთ რაზმს აკლდებოდა იმდენივე მეომარი, რამდენი თოფიც საქართველოს მეომრებისაგან იცლებოდა; რადგანაც ისინი ესროდნენ მტერს ნიშანში ამოღებით, ასე რომ მანძილზე, ზევიდან ქვევით. ოსმალნი მაინც მოუმდრკელათ ადიოდნენ მთის ფერდობზე, მოცელილ რაზმის წილ ჩნდებოდა სხვა, ახალი რაზმი. ისინი ეძებდნენ სიკვდილს და ჰპოვებდნენ კიდეც! მათს სიმრავლეს ვერ აღიოდა, ვერ უთავდებოდა მეფის ამალის ტყვიები. რამდენისმე ათიოდე წამს შემდეგ ოსმალნი მაინც აცოცდნენ მთაზე და ხელ ჩართულით დაერივნენ მეფის მხლეთ.

ამ დროს, ერთი ვიღაც თერობილი „გლეხი", გვარათ ბრეგვაძე, ზორბა ტანადი და დიდი ხმის მქონე ავიდა უზარ-მაზარ მეხაზე და გრგვინვასავით გადმოძახა მთელს იმ არე-მარეს, რამდენჯერმე განმეორებით.

— „გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახდა თათარი!"
ამ გადმოძახებამ გაამხნევა მამულის დამცველნი და შეაძრწუნა მტერი. მეფის დანარჩენი ჯარი მოეშველა ამ სახიფათო ადგილს.

მათ მიშველებამდის მეფის დროშა ხელთ იგდეს აბაშიძის მარჯვენებმა, რომლებსაც, როგორც იმერლებს, ქართულსავე ეცვათ, იმ აურ-ზაურში მეფის მცველებმა თავისიანებში ვერ გაარჩიეს და ახლოს მოუშვეს დროშასთან. იგდეს თუ არა ხელში დროშა, იმ წამსვე გადასცეს იგი აბაშიძეს და იმან კი მიართვა იგი სერასკირს, რომელიც უკვე დალატს წამებდა სამშობლოს მოღალატეს.

— „ჩემს თამარს მივცემ ცოლათ, ვინც ამ დროშას გამომიტანს!" გასძახა თავის ჯარს სოლომონმა.

სიყვარულით ფეთქავი ჭაბუკები — ცადვე სახელის და ცადვე ფასუთქმელი ჯილდოს მოგებით გატაცებულნი მეჯიბრნენ ერთმანეთს საარაკო მამაცობით და თავგადადებით შეიჭრნენ მტრის ჯარის შუა-გულში.

სულ მოკლე ხანში დროშა მიართვა მეფეს გიორგის ერისთავმა *).

ბრეგვაძე კი მეხიდან სულ გასძახოდა:

„გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახდა თათარი!"

ლევან აბაშიძე ცხენ-და-ცხენ თოფ[illegible] იმ მეხასთან და დაუწყო ხის კატარს ცქერა უთუოდ იმისათვის, რომ ბრეგვაძე მოეკლა. ბრეგვაძემ უმალ დაინახა აბაშიძე, იცნო და, რა კი იცოდა, რომ ქვეყნის მოღალატე იყო, დაასწრო, ჰკრა თოფი თავის ქალაში და იქვე სული გააფხოპინა.

ერთმა ოდიშელ მხედართაგანმა, გვარათ ლოლუამ, შეიპყრო თვით სერასკირი და მიჰგვარა მეფეს *).

სერასკირის ცოცხლათ შეპყრობამ გული გაუტეხა დანარჩენს ენიჩარების ჯარს და იარაღი დააყრევინა.

გამარჯვება იყო სრული, დიდ-მნიშვნელოვანი, მთელი დასავლეთის საქართველოს აღმაფრთოვანებელი.

მეფე დაბძანდა თავის კარვის წინ. ლაშქარმა იწყო მეფის წინაშე მისალოცავათ დენა რიგ-რიგათ. ოდიშის და გურიის მთავრების შემდეგ მილოცეს შიდა-იმერლებმა, შემდეგ გურულებმა და ოდიშარებმა. ყველას მოჰყავდა მათ მიერ შეპყრობილი მხარ გაკრული ტყვეები, მოჰქონდა ნაომარი იარაღები, ბაირაღები და სხვ.

ბრძოლის ველზედვე გადიხადეს სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ მეფემ გაიხსენა და მოიკითხა თავადი როსტომ ნიჟარაძე.

ეს როსტომ ნიჟარაძე ყოფილა მეფის საყვარელი კაცი, და იმ მშვენიერის კაცების დროის გამოსარჩევი თვალ-ტანადი იყო თურმე. მშვიდობიანის ხასიათისა და ზნიანს იმისთანა თვალები ჰქონია, რომ ღამითაც ისე ხედავდა თურმე, როგორც დღე. მარა ერთი ისეთი თვისებაც ჰქონებია, რომ მაშინდელ დროში თითით საჩვენებელი ყოფილა: ჩამქტანი მოფრთხილე თურმე იყო.

ხრესილის მთელი ომი ისე გათავდა, რომ ის სადღაც ტყეში იმალებოდა, მეფის ამალის ზურგს უკან.

კარის კაცებმა, როგორც იქნა, მოძებნეს, გამოიყვანეს შეშინებული როსტომი ტყიდან და წარუდგინეს მეფეს.

— არა გრცხვენია, როსტომ, ასეთს ომში შენი თავი გვერდით არ მახლდა?! უთხრა მას მეფემ.

როსტომმა თავი ჩაღუნა.

მეფემ მიიბრუნა ნაწყენი სახე და გასცა ბძანება მოეყვანათ მის წინაშე ის ბრეგვაძე, მეხიდან რომ ბრძოლის ველს გასძახოდა. ბძანება მაისვე აასრულეს.

— ბრეგვაძე! შენმა დღევანდელმა ძახილმა ბევრს

*) გაგონილი სოფრომ ხუნდაძისაგან.

**) გაგონილი რაფიელ ერისთავისაგან.

ჰქმაცს გაუმხნევა გული. ამიტომ მიმიძღვნია შენთვის, შვილთა და მომავალთა შენთათვის ჩემი ტანჯვის აზნაურობა. ახლა კი ეს ამისრულე: ადი იმავ მუხაზე და გადასძახე:

— „გაიმარჯვა საქრისტიანომ აგარიანებზე, ადგესთ ყოველი ქრისტეს მისავი მხედარი სახელითა და დიდებით, თავისუფალი დაეცა მარტო როსტომ ნიჟარაძე“! *)

ბრეგვაძემ ისე გულმოდგინეთ შეასრულა მეფის ბძანება, რომ, ამბობენ, ბევრს ს. საწირეშიაც ესმოდათ.

მწარეთ შეწუხებულს როსტომს მიუახლოვდა მაშინ სიმონ წერეთელი და უთხრა:

თქვე დალოცვილებო, რათ მოკლავთ ნიჟარაძეებს ასე, რომ ყოველთვის:

იჯგიმებით ლხინში
და იბლუნკებით ჭირში?!

როსტომს პასუხი არ გაუცია...

თ. მაგმაძე.

# ნ ა რ ე ვ ი

**კაცობრიობის მადლობელობა.** ადამიანის პროგრესი ჩქარის ნაბიჯით სულ წინ მიისწრაფვის, და ამ წინსვლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით იმ გენიოსთ, ვინც კაცობრიობის კეთილდღეობას შესწირეს თავისი ნიჭი, შრომა და სიცოცხლე. მაგრამ აქ საინტერესოა, როგორ და რით გადაუხადა მადლობა კაცობრიობამ ამ პირთ.

ამ ცოტა ხანში გარდაიცვალა ცნობილი დიზელი, გამომგონი ორთქლ მოძრავის (тепловой двигатель) და თითქმის იმასთან ერთად „ხელოვნური სიცივის გამომგონი“ შარლ ტელიე. შარლ ტელიეს გამოგონებამ მთელი არგენტინა გაამდიდრა და შეძლება მისცა თავისი საქონელი ევროპის ბაზარზედ გაეტანა, თითონ კი სიღატაკეში მოკვდა. მისი გამოგონების წყალობით ბევრმა მწარმოებლებმა მილიონები შეიძინეს, თითონ კი რაღაც გროშები მიიღო და საჭმლის ფული არ ჰქონდა. მისმა ასეთმა სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, და თუ სიცოცხლის დროს მას არავინ შველოდა, სიკვდილს შემდეგ ის სრულიად დაავიწყეს, როგორც იმისთანა გამომგონი, რომელმაც წარმოებაში დიდი ცვლილება მოახდინა. საფრანგეთმა, მისმა სამშობლომ, ძეგლიც აუგო! მაგრამ უმჯობესი არ იყო ცოცხლისთვის რამე მიეცათ და შიმშილით არ მოეკლათ!

ამავე დროს წვრილმანის გამომგონები, რომლებიც სცდილობენ ადამიანის თავ-მოყვარეობას, [illegible] და ფუფუნების სიყვარული, თავის სასარგებლოდ გამოიყენონ, მდიდრდებიან და მილიონებს [illegible], მაგალითად, თვლებიანი სცურალს (КОНЬКИ) გამომგონმა 10 მილიონამდის აიღო; ჯარჯე კენედიმ, რომელმაც ფეხსაცმლების ყაითანი გამოიგონა, 7 მილიონამდის მიიღო; კაუჩუკის ქუსლების შემქმნელმა 5 მილიონამდის, და პირველმა, ვინც ინგლისური ქინძისთავები შემოიღო ჩხარებაში ჯილდოდ 30 მილიონი მანეთი მიიღო.

გენიოს გამომგონთა შორის თქვენ ამათთანა ქედბედიანს ვერ იპოვით. ჩვეულებრივი იმათი ხვედრია — სიღარიბეში სიკვდილი და შემდეგ ძეგლი! მართალია, ედისონი გამდიდრდა, მაგრამ გამოგონებას ხომ არც ეკუთვნის იმას. ტელეფონის პრინციპი 1855 წელს აღმოაჩინა შარლ ბურსელმა, აღწერა იგი. სხვებმა ისარგებლეს მისი აღმოჩენით. ბურსელი კი მარმან სიღარიბეში და ყველასგან მივიწყებული გარდაიცვალა.

ბელმა და ედისონმა შეიმუშავეს მისი აღმოჩენა, და ყველამ იცის, როგორ გამდიდრდნენ. საინტერესოა, რომ ბელს ისე ნაკლებად სწამდა თავისი აპარატის მომავალი, რომ თავის მეზობელს 1000 დოლარს სთხოვდა, და ჩემს მომავალს მოგებას შუაზე გავიყოფთო. მეზობელმა დასცინა, — 1000 კაპეიკს არ მოგცემ მაგ საბავშვო სათამაშოშიო.

ველოსიპედის გამომგონია მიშო სიცოცხლეში საშინლად გაჭირდა, სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახი სრულ უმწეო სიღატაკეში დარჩა, ამ გვარმა ცხოვრებამ ყველა ისინი იმსხვერპლა და დარჩა მარტო ერთი მიშოს ქალი, ავადმყოფი მოხუცი, რომელსაც უძლურ მოხუცთ დამხმარე საზოგადოება თვეში 7 მანეთს დახმარებას აძლევს.

ვინ იცის რა გულით გაავლებს ხოლმე თვალს ეს მოხუცი ქალი, როცა წინ ველოსიპედი გაუვრის!

აგრეთვე ცუდად წავიდა საქმე ვილიამ ლიის, რომელმაც საქსოვი მანქანა შემოიღო. მისი ცოლი ჩულქების ქსოვდა და ჰყიდდა, მაგრამ სიღარიბეს ისინი თავს მაინც ვერ ართმევდნენ. და ამ დროს იმას აზრად მოუვიდა გამოეგონა იმისთანა მანქანა, რომელიც ამ საქმეს უფრო ჩქარა და კარგად გააკეთებდა. თითონ იმას გროში არ მოეძებნებოდა. მისი ოჯახი მშიერი იყო, მაგრამ მაინც კაპიკობით აგროვებდნენ, რომ თავისი მანქანისათვის საჭირო მასალა როგორმე ეყიდნათ. ბოლოს, მანქანა მზად იყო, და ლიმ იგი სახალხოთ აჩვენა. მაგრამ მუშები აუჯანყდნენ, დააბრალეს, ვითომც იმას მთელი კლასის გაკოტრება უნდოდა, და ლი იძულებული იყო სამშობლო ქალაქს გასცლოდა. ის გადასახლდა საფრანგეთში, სადაც ჩქარა შიმშილით მოკვდა.

---

*) იაკინთე ყიფიანისაგან გაგონილი.

საკერავი მანქანის გამომგონ ტიმონიესაც ძალზე ბედი ხვდა წილად. 1830 წელს მან წამოიგდო ზურგზე თავისი მანქანის მოდელი და გაუდგა პარიზის გზას. მაგრამ პარიზში მას წინაღუდგნენ მკერვალები რომლებმაც დაასწამეს, რომ მას მათი დატიკება უნდა. დაბრუნდა სამშობლოში უფრო ღარიბი, და მხოლოდ 1851 წელს როგორც იყო გაჰყიდა ინგლისში თავისი მანქანა ასიოდე მანეთად. თავისი გამოგონების უფლებებზედ სრული უარი სთქვა. ხოლო მყიდველმა კი სამი წლის შემდეგ საკერავი მანქანებით მთელი ლონდონის და პარიზის ბაზრები მოსდო, და მილიონები აიღო.

და განა ცოტაა ამისთანანი?! სტეფენსონი, რომელიც მასხარად აიგდეს, როცა მან მადნებში მომუშავეთათვის ლამპები მოიგონა. და ამ ლამპებმა შემდეგ დევის შესძახეს დიდება. ლებონი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის დასდეგს ჭვარკვარით არიებს შემოიღო და კიდევ ბევრი სხვანი. ყველა გამომგონთა ბედ-იღბალის ერთგვარია.

აი, ასეთის მადლობას უხდის კაცობრიობა მათ, ვისი გონიერებითაც მსოფლიო კულტურა საზრდოობს და წინ მიდის.

---

რედაქტორ-გამომცემელი
**რ. გაბაშვილი.**


## ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა

### შ ე გ ი რ დ ე ბ ი ს მ ი ღ ე ბ ა.

მეხილეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: **თბილისი სანერგე ს. ს ხეთაგურისა.**

**Тиф исъ питомник« С. С. Хетагур».**

---

# 1894 წლიდან 1913 წლამდის

## საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო

## საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი“-სა

**ტელეფონი:**
№ 73 და 3—51.

**თბილისი:** გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

**განყოფილებანი:** ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, როსტოვში და სხ.


---

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.